ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N95

2015 წლის 30 ივნისი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის, განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის 2015 წლის 08 მაისის მე-10 ოქმის მე-7 საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად ქონების პირდაპირი წესით განკარგვაზე თანხმობის მიცემისა და წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"- 122-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ." ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის, განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის 2015 წლის 08 მაისის მე-10 ოქმის მე-7 საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქაქუთის კულტურის სახლის შენობის პირველ სართულზე მდებარე 15.0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით პირდაპირი წესით განკარგვაზე 1 (ერთი) წლის ვადით აფთიაქის ფუნქციონირებისათვის;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქაქუთის კულტურის სახლის შენობის პირველ სართულზე მდებარე (ს/კ N20.31.01.011) 1 (ერთი) წლის ვადით იჯარის ფორმით 15.0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის წლიური საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვროს 90 (ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**